ქ. თბილისი

18 დეკემბერი 2020 წ.

ერთი მხრივ, შპს „კაშკაში“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯურხა კუჭაშვილის სახით (შემდგომში "მეიჯარე"), და მეორე მხრივ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის მინდობილი პირის გორდა სურგულაძის სახით, (შემდგომში "მოიჯარე") შემდგომში ერთობლივად წოდებულნი ,,მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე ,,მხარედ“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ფართის დროებით სარგებლობაში (იჯარით) გადაცემის შესახებ, კერძოდ:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იღებს დროებით სასყიდლიან სარგებლობაში მეიჯარის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ # 01.72.14.094.690 საკადასტრო კოდზე განთავსებულ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას სრულად (შემდგომში "საიჯარო ფართი"),

1.2. „საიჯარო ფართი“ წარმოადგენს „მეიჯარის“ საკუთრებას, რაც დადასტურებულია საჯარო რეესტრში არსებული სათანადო ჩანაწერით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.14.094.690.

1.3. საიჯარო ფართი გამოყენებული იქნება მოიჯარის საოფისე მიზნებისთვის და მოიჯარის ან /და მისი დასაქმებულების მფლობელობაში არსებული ავტომანქანების სადგომისთვის.

1.4. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად საიჯარო ფართით სარგებლობის უფლება გულისხმობს საიჯარო ფართით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად (თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის), რაც მოიცავს მოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს საიჯარო ფართით და მასთან მისასვლელებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ურთიერთობის ვადით და მიზნებისთვის.

2. ავანსი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „მოიჯარე“ იღებს ვალდებულებას ავანსად გადაუხადოს „მეიჯარეს“ 90,000.00 (ოთხმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი, რომელიც მეიჯარის მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შესასრულებლად.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ „მეიჯარის“ მიერ 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული იქნება და შესაბამისად მხარეთა შორის დაიწყება საიჯარო ურთიერთობები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ავანსის თანხა გაიქვითება საიჯარო ურთიერთობების პირველი სამი საანგარიშო თვის გადასახდელში.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ „მეიჯარე“ ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას დადგენილი წესით, „მოიჯარე“ უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი ავანსის დაბრუნება სრულად, რომელსაც ასევე დაერიცხება სარგებელი წლიური 10 %.

3. საიჯარო ურთიერთობების მოქმედების ვადა

3.1. საიჯარო ურთიერთობები ძალაში შედის არაუადრეს 2020 წლის 15 თებერვლისა, „მეიჯარის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების და 3.1.1. პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან, რომელითაც დადასტურდება „მეიჯარის“ მიერ „მოიჯარისათვის“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ფართის გადაცემა და დეტალურად იქნება აღწერილი იჯარის საგნის მდგომარეობა. ამასთან, მხარეები აცხადებენ, რომ საიჯარო ფართი, კერძოდ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.72.14.094.690. დატვირთულია იპოთეკით სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს სასარგებლოდ, რაც ცნობილია „მოიჯარისათვის“ და წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის არ განიხილება უფლებრივ ნაკლად.

3.1.1. მხარეები თანხმდებიან, იმ პირობით რომ შესრულდება 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მეიჯარე 2020 წლის 15 თებერვლიდან მოიჯარეს გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას, სადაც მიუთითებს, რომ ნაკისრი ვალდებულებები სრულად შესრულდა. მოიჯარე თავის მხრივ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მოახდენს საიჯარო ქონების შემოწმებას და შემოწმებიდან

მეიჯარე/ _____/

მოიჯარე/ _____/

ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. ამასთან, ხელშეკრულების ავტომატურად, დამატებით 5 (ხუთი) წლიანი პერიოდით გაგრძელებულად ჩაითვლება, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განახლების შესახებ განზრახვას "მოიჯარე" "მეიჯარეს" აცნობებს საიჯარო ურთიერთობების ვადის დასრულებამდე არანაკლებ 60 (სამოცი) დღით ადრე.

3.3. საიჯარო ურთიერთობებისათვის საანგარიშო პერიოდად ითვლება ერთი თვე, რომლის ათვლაც იწყება წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება- ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან და მოიცავს პერიოდს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან/რიცხვიდან ყოველი მომდევნო თვის შესაბამის თარიღამდე/რიცხვამდე.

3.4. "მოიჯარე" ვალდებულია გაათავისუფლოს "საიჯარო ფართი" საიჯარო ურთიერთობების ვადის დასრულებიდან და/ან ხელშეკრულების მოქმედების სხვა ფორმით შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის განმავლობაში. ამასთან, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ქირის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით საიჯარო ფართის ფაქტობრივად სარგებლობის პერიოდს შესაბამისად.

3.5. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ართმევს მხარეებს უფლებას მოითხოვონ განუხორციელებელი ვალდებულებების შესრულება, თუკი ამგვარი ვალდებულებები არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

3.6. "მეიჯარისათვის" საიჯარო ფართის დაბრუნების თაობაზე აქტის გაფორმების თარიღი წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული საიჯარო ურთიერთობის დასრულების რეალურ თარიღს და საბოლოო "საიჯარო ქირის" გადახდა მოხდება ამგვარი თარიღის გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საიჯარო ფართის დაბრუნების თაობაზე აქტი გაფორმებულად ითვლება მაშინაც კი, თუ რომელიმე მხარე ბრალეული გაჭიანურების გამო აფერხებს აღნიშნული აქტის გაფორმებას. აქტის გაფორმების მიზნებისთვის მოიჯარე ვალდებულია შეატყობინოს მეიჯარეს საიჯარო ფართის გადაცემის თარიღი. იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე უარს განაცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე და 3 დღის ვადაში არ წარუდგენს დასაბუთებულ პრეტენზიას მოიჯარეს აქტზე ხელმოწერაზე უარის მიზეზების დასაბუთებით, ჩაითვლება რომ მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილია მეიჯარის მიერ.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, "საიჯარო ფართით" სარგებლობისთვის გადასახდელი ყოველთვიური "საიჯარო ქირა" შეადგენს 15,000.00 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით. "საიჯარო ქირა" არ ექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ "საიჯარო ქირის" გადახდის ვალდებულება „მოიჯარეს" წარმოეშობა 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან.

4.3. „მოიჯარე" ვალდებულია ყოველთვიური "საიჯარო ქირა" გადაიხადოს ყოველი კალენდარული თვის 10 (ათი) რიცხვამდე, "მეიჯარის" რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

4.4. „საიჯარო ქირა" არ მოიცავს კომუნალური მომსახურების გადასახადებს (ელექტროენერგია, წყალი, გაზი), ასევე საკომუნიკაციო (ტელეფონით, ინტერნეტით და საკაბელო ტელევიზიით) სარგებლობის ხარჯებს. აღნიშნულ გადასახადებს "მოიჯარე" გადაიხდის ყოველთვიურად საკუთარი სახსრებით, დადგენილი ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

5. "მეიჯარის" უფლება-მოვალეობანი

5.1 "მეიჯარე" ვალდებულია:

5.1.1. არაუგვიანეს 2020 წლის 28 თებერვლისა:

ბა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით „მოიჯარის" მოთხოვნის და მითითების შესაბამისად „საიჯარო ფართის" პირველი სართულზე ანტრესოლის მოწყობა რომელის ფართი იქნება დამატებით არანაკლებ ასი კვ.მ.

ბ) უზრუნველყოს საიჯარო ფართი გენერატორით (1103A-Perkins, Order No: 20180312, No: 2180061, Date: 2018 04), რომელიც დენის გათიშვის შემთხვევაში ჩაირთვება ავტომატურ რეჟიმში.

მეიჯარე /[illegible]/

მოიჯარე /[illegible]/

ოასფალტება, ტერიტორიის შემოღობვა და დასუფთავება;

დ)მიღება-ჩაბარების აქტით „მოიჯარეს“ გადასცეს სრულად გარემონტებული, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო „საიჯარო ფართი“. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ „მოიჯარე“ უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თავისი ხარჯით მოახდინოს გარკვეული სარემონტო სამუშაოები წარმოება „საიჯარო ფართზე“, რის შესახებაც აცნობებს „მეიჯარეს“. ასეთი სარემონტო სამუშაოები მოიცავს ქსელურ ინფრასტრუქტურას, განათებას, არსებული ფართის გატიხვრას და სხვა.

5.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ დაუბრკოლებლად დაუშვას „მოიჯარე“ და მის მიერ განსაზღვრული პირები „საიჯარო ფართში“ შესაბამისი სარემონტო სამუშაოების წარმოების მიზნით.

5.1.4 არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით ან მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმებით) და იჯარის საგნის გამოყენებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოიჯარე იჯარის საგანს იყენებს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის).

5.1.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს, რათა მეიჯარის საკუთრებაში არსებულ საიჯარო ქონების არც ერთი ნაწილი საკუთრებაში ან/და დროებით სარგებლობაში არ გადაეცეს სხვა სადაზღვევო კომპანიას.

5.1.6. ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, ადმინისტრაციული, თვითმმართველი, მათ შორის, მაკონტროლებელმა ორგანოებმა;

5.1.7 საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ისეთი ნივთობრივი ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც „მოიჯარისათვის“ არ იყო ხილული წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტისათვის და აუნაზღაუროს „მოიჯარეს“ ასეთი ნაკლით მიყენებული ზიანი.

5.2. "მეიჯარე" უფლებამოსილია

5.2.1 ექვს თვეში ერთხელ შეამოწმოს "საიჯარო ფართის" მდგომარეობა. შემოწმების დრო წინასწარ თანხმდება "მოიჯარესთან". შემოწმება განხორციელდება "მოიჯარის" უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

5.2.2 მოითხოვოს „მოიჯარისგან“ წინამდებარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

5.2.3. მოიჯარის თანხმობის გარეშე განკარგოს საიჯარო ფართი, მათ შორის გაასხვისოს ან იპოთეკით დატვირთოს ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ. აღნიშული ცვლილებების შესახებ „მოიჯარეს“ უნდა ეცნობოს წინასწარ. ამასთან, მესაკუთრის ცვლილება არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ცვლილებებისა და / ან მისი შეწყვეტის საფუძველს და ახალ მესაკუთრეზე სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის შესაბამისად გადადის მეიჯარის ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. „მეიჯარე“ დამატებით ვალდებულია ახალ მესაკუთრესთან ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და ჯეროვნად დაიცვას „მოიჯარის“ ინტერესები.

6. "მოიჯარის" უფლება-მოვალეობანი

6.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

6.1.1. გამოიყენოს „საიჯარო ფართი“ მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული დანიშნულებით;

6.1.2. დადგენილ ვადაში და სრულად გადაუხადოს "მეიჯარეს" „საიჯარო ქირა“ წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლით დადგენილი პირობებით;

6.1.3. უზრუნველყოს „საჯარო ფართის“ ჯეროვანი მოვლა-პატრონობა ნორმალური/ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, ასევე დაიცვას სახანძრი უსაფრთხოების, გათბობა-კონდიცირების სისტემის მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები .

6.1.4. დაფაროს მიმდინარე კომუნალური ხარჯები, რაც დაკავშირებულია „საიჯარო ფართით“ სარგებლობასა და მის ჯეროვან მოვლასთან;

6.1.5. დაუყოვნებლივ შეატყობინოს "მეიჯარეს" იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იწვევს საიჯარო ფართის/შენობის მნიშვნელოვან დაზიანებას ან მისი ხარისხის საგრძნობ გაუარესებას.

6.1.6. აუნაზღაუროს "მეიჯარეს" ზიანი, რაც გამოწვეულია, მოიჯარის ბრალეული ქმედებით.

6.1.7 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ამგვარის საჭიროების შემთხვევაში).

6.2. მოიჯარე უფლებამოსილია,

მეიჯარე /_______________/ მოიჯარე /_______________/

6.2.2 წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ქვეიჯარით გადასცეს საიჯარო ფართი ან მისი რომელიმე ნაწილი აფილირებულ/ურთიერთდამოკიდებულ კომპანიებს/პირებს იმ პირობით, რომ დაცული იქნება ამ 6.1.1 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის პირობები. ამასთან, მოიჯარე თავად დარჩება პასუხისმგებელი მეიჯარის წინაშე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებაზე; მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეიჯარის პირობები შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. ამასთან ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იჯარის დარჩენილ ვადას, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას ავტომატურად მოყვება მის საფუძველზე დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტა, თუ მეიჯარე და ქვემოიჯარე სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან. ქვემოიჯარის მიერ იჯარის საგნის დაზიანების და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მეიჯარის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება მოიჯარეს. არა აფილირებულ/ურთიერთდამოკიდებულ პირების სასარგებლოდ ქვეიჯარით „საიჯარო ფართის“ გაცემა მოითხოვს „მეიჯარის“ წინასწარ თანხმობას.

6.2.3 საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს გარკვეული სარემონტო სამუშაოები მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე, რომლის შესაბამისადაც მოიჯარე უფლებამოსილი იქნება, საკუთარი ხარჯითა და სახსრებით შეცვალოს, გადააკეთოს საიჯარო ფართი.

6.2.4 "მეიჯარის" დამატებითი ნებართვის გარეშე, "საიჯარო ფართში" საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელოს ყველა ფუნქციონალური მოწყობილობის მონტაჟი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოხსნას მის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობა-დანადგარები და ინტერიერის ელემენტები, იმ პირობით, რომ არ დააზიანებს ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და სხვა კომუნიკაციების სისტემებს, შეინარჩუნებს უძრავი ქონების გარეგნულ თუ შიდა იერსახეს, არქიტექტურული ღირებულების ჩათვლით ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

6.2.5. საიჯარო ფართზე (მათ შორის შენობა-ნაგებობის ფასადზე) ან/და მის ტერიტორიაზე განათავსოს მის ან/და მასთან დაკავშირებული (მათ შორის აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული პირების) პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული სარეკლამო მასალები, აღმნიშვნელი აბრა და სხვა. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მეიჯარე აცხადებს თანხმობას მოიჯარის მიერ ასეთი აბრის, სარეკლამო მასალის საიჯარო საგანზე განთავსებაზე. შესაბამისად, მოიჯარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ (თვითმმართველ) ორგანოებს სამშენებლო/სარეკონსტრუქციო ნებართვის მოსაპოვებლად, რაც არ საჭიროებს მეიჯარისგან რაიმე სახის დამატებით თანხმობას.

6.2.6. ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ დაიტოვოს ის, რითაც მან “საიჯარო ფართი” აღჭურვა ან გააუმჯობესა; ამასთან, ხელშეკრულების მეიჯარის მიერ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ გაუმჯობესებების ან აღჭურვილობის კომპენსაცია, რომელიც მან განახორციელა „საიჯარო ფართზე“.

6.2.7. თუ „საიჯარო ფართს“ აღმოაჩნდება ნივთობრივი ნაკლი, მოითხოვოს „საიჯარო ქირის“ შემცირება ნაკლის პროპორციულად და მის სრულ აღმოფხვრამდე.

6.2.8. „საიჯარო ფართში“ მოახდინოს მითითებული სველი წერტილების დემონტაჟი/მონტაჟი საკუთარი შეხედულების შესაბამისად; ხოლო, საიჯარო ურთიერთობის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს მისი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

6.2.9. უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით და საკუთარი შეხედულების შესაბამისად „საიჯარო ფართის“ პირველი სართულზე ანტრესოლის მოწყობა რომელის ფართი იქნება დამატებით არანაკლებ ასი კვ.მ.

6.2.10. უზრუნველყოს საიჯარო ფართში დამატებითი გენერატორის მონტაჟი.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

7.3. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

7.4. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საჯაროდ.

მეიჯარე /_____/ მოიჯარე /_____/

ვადართლო.

. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

8.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.2. მხარეთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

8.1.3. ერთი მხარის მიერ, მეორე მხარისათვის არანაკლებ ექვსი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

8.1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მათ შორის 8.1.3. პუნქტით გათვალისწინებული წესით საიჯარო ურთიერთობების ძალაში შესვლიდან ორმოცდარვა თვის განმავლობაში დაუშვებელია, გარდა 8.2. და 8.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 მოიჯარის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში საიჯარო ქირის ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მეიჯარე მოიჯარეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განუსაზღვრავს ვალდებულების შესრულების დამატებით ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს თხუთმეტ კალენდარულ დღეზე ნაკლები. მოიჯარის მიერ დამატებით მიცემულ ვადაში საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებული წესის განსხვავებით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მეიჯარის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოიჯარე მეიჯარეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განუსაზღვრავს ვალდებულების შესრულების გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს თხუთმეტ კალენდარულ დღეზე ნაკლები. დამატებით მიცემულ ვადაში მეიჯარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებული წესის განსხვავებით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულების დასრულების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს დაუბრუნოს იჯარის საგანი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა მეიჯარისაგან (ბუნებრივი ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით). იჯარის საგნის დაბრუნებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად გავრცელდება მხარეებზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.2. "საიჯარო ფართში" არსებულ მის კუთვნილ ქონებას "მოიჯარე" უვლის პირადი რისკით და "მეიჯარეს" არ ეკისრება პასუხისმგებლობა მათ დაზიანებაზე ან დაკარგვაზე, თუ ეს გამოწვეული არ არის "მეიჯარის" ბრალით (მათ შორის საიჯარო ფართის ნაკლით).

9.3 ერთ-ერთო მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესასრულებელი ვალდებულების 0.01 %, ხოლო სხვა სახის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორმოცდაათი აშშ დოლარის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.4. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტს ხელშეკრულებას (გარდა, 8.1.3 , 8.2. და 8.3. პუნქტებით გათვალისწინებული წესის დარღვევით), ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ექვსი თვის საიჯარო გადასახადის ოდენობით;

8.6. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. ფულადი ვალდებულებების შესრულების წესი

10.1. ნებისმიერი ფულადი ვალდებულება, რომელიც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დღეს, ამასთან, თუ ფულადი ვალდებულების შესრულების დღეს ემთხვევა უქმე ან არასამუშაო დღე, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს მომდევნო სამუშაო დღეს;

10.2. ფულადი ვალდებულების შესრულებისას გათვალისწინებული იქნება ვალდებულების შესრულების დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი, ამასთან, ნებისმიერი ვალდებულება რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში უნდა შესრულდეს ეროვნული ვალუტის ექვივალენტით.

მეიჯარე /

მოიჯარე /

11. კომუნიკაცია

11.1. მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

11.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

11.2.3. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის არსებულ ყველა იმ ზეპირ და წერილობით შეთანხმებას, რომელიც არსებობდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში.

12.2. ის ურთიერთობები, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების მიხედვით.

12.3 „ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია „მხარეთა" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის".

12.4. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ყოველგვარი შესწორებების შეტანის აუცილებლობის შესახებ მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

12.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად საიდანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნებისათვის

მეიჯარე / _____ /

მოიჯარე / _____ /

404899749
ორითადი საბანკო რეკვიზიტები:
ანკი: სს ,,ხალიკ ბანკი საქართველო"
ბ/კ HABGGE22
ა/ა GE13HB0000000025373612
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. N 8 კორ. 9 ბ. 13
ელ ფოსტა p.gabrichidze1@gmail.com
ტელეფონი 599 575 229

სათადარიგო/ალტერნატიული საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE66TB7579536080100001

დირექტორი
ჯურხა კუჭაშვილი (პ.ნ. 38001006329)

მოიჯარე
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
ს/კ 404476189
მის: ქ. თბილისი, ბ. კვერნაძის ქ. #10

დირექტორის მინდობილი პირი გორდა სურგულაძე (პ.ნ. 61001067759):

მეიჯარე /_____/ მოიჯარე /_____/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	85905662886920

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი,ჟ. შარტავას ქ. #42/ ვამოწმებ გორდა სურგულაძის (დაბ. 05.02.1991წ. პ/ნ 61001067759; მცხ. თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 51 ბ. 2) და ჯურხა კუჭაშვილის (დაბ. 24.02.1976წ. პირადი #38001006329, მცხ: საჩხერე, სიმონ შათაშვილის ქუჩა, N 6) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა. დოკუმენტის 4 ეგზემპლარზე შესრულებული 56 ხელმოწერის დამოწმებისთვის 112.00 ლარი; დღგ 20,16 ლარი. რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შეთანხმება

18 დეკემბერი 2020 წ.

. თბილისი

ერთი მხრივ, შპს „კაშკაში“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯურხა კუჭაშვილის სახით (შემდგომში "მეიჯარე"), და მეორე მხრივ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის მინდობილი პირის გორდა სურგულაძის სახით, (შემდგომში "მოიჯარე") შემდგომში ერთობლივად წოდებულნი „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- 2020 წლის 18 დეკემბერს მხარეთა შორის ხელი მოეწერა იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „იჯარის ხელშეკრულება“)
- იჯარის ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იღებს დროებით სასყიდლიან სარგებლობაში მეიჯარის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ # 01.72.14.094.690 საკადასტრო კოდზე განთავსებულ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას სრულად (შემდგომში "საიჯარო ფართი)

წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, მხარეები ადასტურებენ, რომ იჯარის ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ფართი წარმოადგენს 01.72.14.094.690 საკადასტრო კოდზე განთავსებული მიწის ნაკვეთი სრულად და ასევე მასზე ფაქტობრივად განთავსებულ შენობა-ნაგებობა სრულად, რომლის ნახაზი, ფართობი და სხვა სპეციფიკაციები მოცემული არის წინამდებარე შეთანხმების #1 დანართში.
2. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ მეიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ფართის დაზუსტებას და წინამდებარე შეთანხმების #1 დანართით გათვალისწინებული შენობა/ნაგებობის აღრიცხვას/რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მისი ექსპლუატაციაში მიღება.
3. წინამდებარე შეთანხმება და თავის მხრივ #1 დანართი, წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში. ამასთან, მას შემდეგ რაც მეიჯარის მიერ შესრულდება შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ იჯარის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად საიდანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე
შპს „კაშკაში“
ს/კ 404899749

დირექტორი
ჯურხა კუჭაშვილი (პ.ნ. 38001006329)

მოიჯარე
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
ს/კ 404476189
მის: ქ. თბილისი, ბ. კვერნაძის ქ. #10

დირექტორის მინდობილი პირი გორდა სურგულაძე (პ.ნ. 61001067759):

მეიჯარე /_____/

მოიჯარე /_____/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N201030039
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ირმა შარვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ჟ. შარტავას 42**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	93230605040320

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი,ჟ. შარტავას ქ. #42/ ვამოწმებ გორდა სურგულაძის (დაბ. 05.02.1991წ. პ/ნ 61001067759; მცხ. თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 51 ბ. 2) და ჯურხა კუჭაშვილის (დაბ. 24.02.1976წ. პირადი #38001006329, მცხ: საჩხერე, სიმონ შათაშვილის ქუჩა, N 6) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.
მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.
გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.
დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 60 ხელმოწერის დამოწმებისთვის 120.00 ლარი;
დღგ 21,60 ლარი. რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს „კაშკაში“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404899749)

17 დეკემბერი, 2020 წელი

2020 წლის 17 დეკემბერს შპს „კაშკაში“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 404899749, მის: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფ. აგარაკი, სახლთან მიმდებარედ)100% წილის მფლობელმა პარტნიორმა - პეტრე გაბრიჭიძემ (პ.ნ. 01024060122) მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება შპს „კაშკაში“-ს და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-ს შორის, სადაც სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-ს დროებით მფლობელობაში გადაეცემა ქ. თბილისში, თბილისი-მცხეთის გზის მიმდებარედ # 01.72.14.094.690 საკადასტრო კოდზე განთავსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა სრულად შესაბამისი საიჯარო ქირის სანაცვლოდ.

2. პარტნიორი აცხადებს თანხმობას, რომ დირექტორი - ჯურხა კუჭაშვილმა (პირადი ნომერი: 38001006329) ხელი მოაწეროს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-სთან გასაფორმებელ იჯარის ხელშეკრულებას და განსაზღვროს იჯარის ხელშეკრულების პირობები დამოუკიდებლად, გარდა წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში მითითებული პირობებისა.

შპს „კაშკაში“-ს100% წილის მფლობელი პარტნიორი - პეტრე გაბრიჭიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N201025670
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ირმა შარვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ჟ. შარტავას 42**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14158210256220

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი,ჟ. შარტავას ქ. #42/ ვამოწმებ პეტრე გაბრიჭიძის (დაბ. 14.09.1972წ. პ/ნ 01024060122; მცხ. თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 51 ბ. 2) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.
მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.
გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.
დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 3 ხელმოწერის დამოწმებისთვის 6.00 ლარი;
დღგ 1,08 ლარი. რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18